საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ლამპრული“

„ლამპრული“, სვანური წრიული ფერხული. ცეკვის დროს ხელში ეჭირათ ანთებული არყის ხის კვარი. „ლ“. სათავეს იღებს ბუნების გამოღვიძების, მზის ცხოველმყოფელობის, „ნათლისა და ბნელის ბრძოლის“ საგაზაფხულო რიტუალებიდან, რ-იც შემდგომ ქრისტიანობას დაუკავშირდა და სინკრეტული ხასიათი მიიღო.

ცეკვა „ლ“ აღწერილია „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ (XIV ს.); მას იანვრის ერთ-ერთ ორშაბათს ასრულებდნენ სამეფო კარზე ლაშქარ-ნადირობისთვის შეკრებილი პირები. სვანეთში „ლ“ ასევე სრულდებოდა მირქმის დღესასწაულის წინა საღამოს და გიორგობას. იგი საქართველოს ყველა კუთხეში იყო გავრცელებული.

ლიტ.: გ ე ლ ი ა შ ვ ი ლ ი ე., ორნამენტული სიმბოლიკა ქართულ-ხალხურ ქორეოგრაფიაში, 2014; გ ვ ა რ ა მ ა ძ ე ლ., ქართული საცეკვაო ფოლკლორი, თბ.,1997; ნ ი ჟ ა რ ა ძ ე ბ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ.,1962., (იხ. აგრეთვე სტ. ლამპრობა).